№ 202 სექტემბერი 22, ოთხშაბათი 1893 სექტემბერი 22, ოთხშაბათი № 202


**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## წლიური კრება

ქართულ დრამატიულის საზოგადოების წევრთა

სექტემბრის 19-ს დანიშნული ვერ შესდგა, წევრთა კანონიერის რიცხვის მოუსვლელობის მიზეზით. ამის გამო ხელმეორედ დანიშნულია სამშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის სადგომის დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად წევრთა რიცხვისა, რამდენნიც გამოცხადდებიან.

საგანი განხილვისა:

1) წლის ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა.

2) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა მომავალის წლისთვის.

3) ამორჩევა კომისიებისა.

4) ამორჩევა ახალთა წევრთა.

(3—973—1)

---

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 22 სექტემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

I

### სკაპენის ცუღლუტობა

კომ. 3 მოქ. მოლიერისა, თარგმანი თავ. აკაკისა.

II

### ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი ა

ვოდ. 1 მოქმ. ნ. ყიფიანისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. მელიქიშვილისა, ნებიერიძისა, ჩერქეზიშვილისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, გუნია, სვიმონიძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

---

## ტფილისი

21 სექტემბერს

—

ფრანგები საოცარის აღტაცებით მიელიან რუსეთის ესკადრის მისვლას ტულონში.

ყოველის მხრიდგან მზადდება დეპუტაციები, საჩუქრები, ადრესები და ერთი კუთხე საფრანგეთისა ეჯიბრება მეორე კუთხეს, რომ რამე განსხვავებული და ჩინებული პატივი სცეს რუსეთის წარმომადგენელს—ადმირალ აველანს და მის ამალას.

ფრანგები დიდი ოსტატები არიან, რომ ყველაფერს შნო და ლაზათი მისცენ, და უეჭველია ამ შემთხვევაშიც ეცდებიან დღესასწაულები მშვენიერი და მომხიბლველნი იქნას.

სხვათა შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთის დეპარტამენტის ერობისაგან მიუვიდა წინადადება: საჭიროა დღესასწაული, რუსეთის მეზღვაურთა პატივსაცემად გამართული, საერო იქნას. პარლამენტმა და სენატმა, როგორც საფრანგეთის ერის გამომეტყველმა, უნდა მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ ამ პროექტს, როგორც მწერლობამ, აგრეთვე საზოგადოებამ, გულ-გრილად შეხედა. იმ საზოგადო გატაცების დროს, რომელიც ეხლა საფრანგეთში არის, ასეთი ამბავი ცოტა არ იყოს, საკვირველია.

რაკი ფრანგებს რუსეთის მეგობრობისა და კავშირის სურვილი დაბადებიათ, აქ, რაც უფრო დიდებულად და მნიშვნელოვანად იქნება აღნიშნული ეს სურვილი ერისა, მით უფრო დასაფასებელია რუსეთისაგან, და მით უფრო საგულისხმო იქნებოდა სამთა კავშირის და მათ თანამგრძნობელთათვის.

ფრანგები ამ შემთხვევაში სწორედ ისე უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც მოიქცა პეტრე მოციქული, როდესაც მაცხოვარმა უთხრა, ფეხი უნდა დაგბანოო. ნახევრად საქმის გაკეთება არასფერში საქმეში არვარგა, და ნამეტურ მეგობრობაში.

მთელი ქვეყნის გაზეთები ამ ჟამად რუსეთის ესკადრის სტუმრობაზედ ლაპარაკობენ და სჯიან, მაგრამ ამას-კი ვერავინ ამბობს, რა ნაყოფიერი და თვალსაჩინო ბოლო მოჰყვება ამ სტუმრობას და ფრანგების აღტაცებით დახვედრას.

ერთა შორის სიყვარულისა და თანაგრძნობის დანახვა, რასაკვირველია, სასიამოვნო ამბავი, მაგრამ სანამდის არ გამოცხადდება ხელ-შეკრულობა მტკიცე და სავალდებულო ორთავე სახელმწიფოსთვის—რუსეთისა და საფრანგეთისთვის—მანამდის ყველა ეს ამბები, სიტყვები, სადღეგრძელოები, სტუმრობა და დღესასწაულები ბოლოს და ბოლოს ხსენებულ ქვეყნებისათვის რჩება საამო მოსაგონ შემთხვევად და სხვად არასფრად.

ამისი თქმა შეიძლება მით უფრო თამამად, რომ არავინ არ იცის, რომელიმე ამ სახელმწიფოთაგანი ხვალ რა წინადადებას მიიღებს სადმედგან და, თუ ის წინადადება უფრო გამოსადეგი იქნა, მაშინ ხომ უეჭველია მეთაურნი ქვეყნისა იმ აზრს დაადგებიან, რაც მათის ხალხისთვის საუმჯობესო იქნება.

მანამდის-კი ფრანგების მზადებამ და ლაპარაკმა გამოიწვია ერთი ფრიად არა სანატრელი საქმე. ინგლისის საზოგადოების აზრი ურჩევს თავის მართებლობას, რომ ადრე მიემხროს სამთა კავშირს, რადგანაც შეერთებული რუს-ფრანგთა ძალა ზღვაზედ სჭარბობს ინგლისის ფლოტს და, თუ უნდა ინგლისს არ დაჰკარგოს გავლენა და მნიშვნელობა ხმელთა-შუა ზღვაზე, მაშინ მარტო არ უნდა დარჩესო. ეს ხმა რაოდენიც არ იყოს ისმინა ინგლისის სამინისტრომ და პირველ თავის ადმირალს სეიმურს ჰგზავნის იტალიაში ესკადრით.

ეს პირველი ნაბიჯი არისო, ამბობენ ინგლისის გაზეთები, რომ ფრანგებმა გაიხსენონ ცოტა რამ ინგლისის ძლიერებისაო.

ამას გარდა ოსმალეთის მთავრობაც ჰგზავნის ხმელთა-შუა ზღვაში სამხედრო ესკადრას.

ჯერ-ჯერობით ადმირალ აველანის სტუმრობამ ეს დემონსტრაცია გამოიწვია სამთა კავშირის თანამგრძნობელთაგან—და ასეთად უთუოდ უნდა ჩათვლილ იქნას ინგლისი და ოსმალო—ხოლო შემდეგში რა მოჰყვება ამ სამხედრო ესკადრების მეურას ხმელთა შუა ზღვაში—ეს გვგონია ჯერ თვით იმ ბატონებისთვის, ვისიც ხელშია ქვეყნების ბედი, იმათთვისაც-კი საიდუმლოა.

მეველე

---

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 19-ს სამხედრო საავადმყოფოში ერთი ავადმყოფი იყო.

სექტემბრის 20-ს პოლიციის მე-8 ნაწილში სურფ-კარაპეტის აღმართზე, იაგოროვის სახლში ხოლერით ავად გახდა გუმბრის მაზრის მცხოვრებელი გავრო ფარო-ყიზი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ბაქოს გუბერნია

ბაქოში 16 სექტემბრამდე რვა ხოლერით ავადმყოფი მორჩა. ამ დღესკი ხოლერით ავად გახდა ერთი, ერთიც გარდაიცვალა. სექტემბრის 18-ს ხოლერით ავად გახდა ერთი, გარდაიცვალა ერთი, ასე რომ სექტემბრის 19-ს ბაქოში სულ ორი ავადმყოფი დარჩა.

---

## მთავრობის განკარგულებანი

—

უმთავრესის შტაბის-მიერ შედგენილ იქმნა სია ამ 1893 წელს ჯარის კაცად წაყვანილთა, რომელიც სხვა-და-სხვა ჯარებში უნდა ჩაირიცხონ და თანხმად უმაღლესის ბრძანებისა, ამ სიით 420 ახალი წაყვანილი მკვიდრი უნდა მოჰყვეს ისეთ პოლკებში, რომლებიც რუსებისაგან არის შემდგარნი, და ამავე დროს აქაურთაგან შემდგარ ჯარებში უნდა მოემატოს 400 რუსი.

აქაურთა ჯარები იმ ჯარის კაცთა მაგიერ, რომელთაც სამსახურის ვადა შეასრულეს და სათადარიგო ჯარში უნდა ჩაირიცხონ, ნაბრძანებია შეივსოს რუსთაგან ამ რიგად: აქაურ მსროლელთა დრუჟინაში—224 კაცი კავკასიის მსროლელთა ბრიგადისაგან, კავკასიის 20,

---

# ფელეტონი

—

**მ ე ქ ა რ ე**

ფრანსუა კოპპესი

(ფრანგულით)

(დასასრული. იხ. «ივ.», № 201.)

— ცუდი რომ ყოფილიყო, იმდენ ხანს ფირმეცი მაგ დედაკაცთან აღარ იცხოვრებდა. მაშ რატომ ცოლად არ შეირთო?

— ცოტა მომითმინეთ, მთელი ისტორიაც მაგაშია. ქალს უყვარდა ოკტავი, თაყვანსა სცემდა, მაგრამ ოკტავი-კი სიყვარულზე შორს იყო. ის მხოლოდ როგორღაც შეეჩვია ასეთს ცხოვრებას. ერთს მშვენიერს დღეს, ვნახოთ, მამა მისი უცბად გარდაიცვალა. ოკტავს 20 ათასი ფრანკი მემკვიდრეობა დარჩა. აი მაშინკი დააფასა თავის საყვარლის ერთგულება! კლემანსს მაშინადვე ძვირფასი ტანისამოსი უყიდა, მისი ოთახი მშვენივრად მორთო. უნდოდა რიგიანად ეცხოვრნა, ხალხში გამოსულიყო. ადვილი მისახვედრიც არის, რად ისურვა ყოველივე ეს ოკტავმა. მის პირველ ლექსებით „საგმირო პოემები“-თ რომ დღეს ყველა აღტაცებულია, მაშინ მათს დამწერს სასაცილოდ იგდებდნენ, მიწასთან ასწორებდნენ. მხოლოდ ერთმა-ორმა დააფასა მისი ნიჭი, ისეთებმა დააფასეს, ვისაც პოეზიისა ესმოდათ რამე, ვინც ნამდვილი პოეტები იყვნენ. გაიცნეს, აქეთ-იქით მიიწვიეს. სულ მუდამ ლამაზი, ოდნავ მოღლილი, ქალებს მოეწონათ; ისიც გაერთო ქალებში. საწყალი კლემანსი! რა მწუხარება უნდა გამოევლო საყვარლის ღალატის გამო! მერე ეჭვი არ არის, რომ ყველაფერი იცოდა! ცხადია, ძალიან უნდა დატანჯულიყო. რა თქმა უნდა! მაგრამ საყვედური პოეტს არ გაუგონია. უეჭველია, სარკე დაანახვებდა, რომ ამდენის ხნის ვაი-ვაგლახი მის პირისახესაც დაეტყო. ამასთან, რაც ხანში შედიოდა, მისმა გრძნობამ ოკტავის მიმართ დედობრივის სიყვარულის ხასიათი მიიღო და ოკტავს შეცდომებს არ აყვედრიდა. ის-კი არა, მის ქცევაზე რაღაც სიამაყით ელიმებოდა. მდაბიო ხალხში—კლემანსი ნამდვილი ასული იყო მდაბიო ხალხისა—ხშირად შეხვდებით დედაკაცს, რომელიც ჩაჯდება მეზობლებში და თავისის ქმრის ოინებს მოჰყვება; ბოლოს მხრების აშმუშვნით მხიარულად დაატანს: „ეჰ, რა ვუყოთ, დეე სხვასაც ეტორღიალოს; ვაჟკაცია, სულ ხომ ჩემთან არ იჯდება სახლში!“

გაიარა დრო და ხანმა. ფირმეცს თმაში ჭაღარა გამოერია. უკვე ორმოც და ხუთის წლისა შეიქმნა, მაგრამ უდარდელ ცხოვრებაზე მაინც ხელს არ იღებდა. მწერლობაში ვერ გაიმარჯვა. „არა უშავსრა, მერეც გავიმარჯვებო“—ინუგეშებდა თავს. სამაგიეროდ, ქალების გული ჰქონდა დატყვევებული და აღარ ანთავისუფლებდა. რაც შეეხება კლემანს—უნდა გამოგიტყდეთ—უკვე ორმოც წელიწადს გადააბიჯა და თითქმის მოხუცდა კიდეც. ერთს ზაფხულის საღამოს რამდენიმე მეგობრები ფირმეცთან შევიყარენით და დროს ვატარებდით. ოკტავი უკანასკნელ ხანებში გულის ფრიალს უჩიოდა. იმ ღამეს დივანზე იჯდა. ერთბაშად გული წაუვიდა. ჩქარა-კი მიბრუნდა, მაგრამ კლემანსს შიშისაგან, ცოტა გაწყდა, გული არ შეუღონდა. ერთი ნაცნობი ექიმი მოვიწვიეთ. გადაწყვეტილი ვერა გვითხრარა, მხოლოდ გვირჩია—გამოჩენილ ექიმ ბუშოს მიჰმართეთო. საშიშო არაფერიაო,—გული გაუკეთა ოკტავს ამ ექიმმა. მაგრამ ჩვენ-კი სიმართლე გავიგეთ. პოეტი თავდაუჭერელ ცხოვრების გამო ყოფილიყო ავად,—ის ავადმყოფობა დაჰმართებოდა, რომელიც არტისტებს და ცირკის ცხენებს ხშირად ემართებათ,—გულის ავადმყოფობით—საშიშარითა და სასიკვდილოთი.

სენი ჯერ ისე არ გაძნელებოდა, მაგრამ სულ ერთავად იტანჯებოდა. ამასობაში დაჰკვიანდა კიდეც. კლემანსი თავს ევლებოდა. ოკტავს გული აუჩუყდებოდა ხოლმე, როცა თავის ძველის მეგობრის თავდადებას და გულ-კეთილობას აკვირდებოდა. ერთხელ იმასთან ვიყავი და სამნივე ერთად ვუსხედით სუფრას. ოკტავმა თეფში მომაწოდა და მითხრა:

— იცი მე და კლემანსმა რა გადავსწყვიტეთ?.. აგერ ოცი წელიწადია, რაც ერთადა ვცხოვრობთ და ჯვარდაწერილები-კი არა ვართ. ეს მეტის-მეტი სისულელეა... ამ დღეებში სამიოდე ნაცნობი მოიყვანე, შევიაროთ ქალაქის საბჭოში, იქიდგან ეკკლესიაში შევუხვიოთ და სადილად კიდევ შინ დავბრუნდებით.

— ბარაქალა!—წამოვიძახე მე, და კლემანსს გადავხედე.

ქალს თვალები ცრემლით გავსებოდა.

— ჰხედავ, ჩემი ოკტავი რა გულკეთილია,—მითხრა.—მაგრამ იცით, ბატონო სენეშალ: ჯვარს მანამდე არ დავიწერ, სანამ ჩემი ოკტავი სახელს არ გაითქვამს და სულ დიდი ბიჭი არ გახდება... დიახ!.. მღვდელთან შესანიშნავ საქმროს უნდა მივყვებოდე ჯვარის დასაწერად... მედა ჩემმა ღმერთმა!

ვაი შენს მტერს! ჯვარის-წერა-კი არა, თხუთმეტის დღის უკან ეს საქმრო ლოგინში იწვა. ვეღარც აატანა მერე ლოგინს. თავის უკანასკნელ წიგნის წერამ მოჰქანცა. ამას „საფრანგეთი“-ს თეატრში მისის პიესის დაწუნება დაერთო, და საცოდავს სულ ბოლო მოეღო. ბუშო ისევ დავიბარეთ. „არ აღელვოთ, არ აღელვოთ“,—ერთავად ამას გაიძახოდა. მეგობრებს გული ეთუთქებოდათ. იმათს მწუხარებას მეც ვიზიარებდი, თან მისის სიცოცხლის მეგობარზე, მის კეთილ კლემანსზედაც ვფიქრობდი. ფირმეცს იმის თავი არა ჰქონდა, რომ ანდერძი წინდაწინვე დაემზადებინა. თუ სიკვდილამდე არ შეირთავდა, მერე რაღა უნდა ექმნა საცოდავ ქალს?

ჩემი აზრები კლემანსაც გაუზი-

21 და 38 დივიზიების გრენადერის პოლკებისაგან. ხოლო ოთხ სათადარიგო ფესხოსანთა პოლკებში—384 ჯარის კაცი 20, 21, 38 და 39 დივიზიების პოლკებისაგან; სულ 628 ჯარის კაცი, მათ შორის 580 ეფრეიტორი, რომელნიც უნდა არჩეულ იქმნან „უჩებნი კომანდა“-ში კურს დასრულებულთაგან; ერთის ჯარიდგან მეორეში გადაყვანილი უნდა იყვეს 1891 და 1892 წლებში გამოყვანილი. დანარჩენი 48 კაცი დაინიშნება მწერლად, ხელოსნად და სხვა. საერთოდ აქაურთაგან შემდგარ ჯარებში უნდა 1028 რუსი ჩაირიცხოს.

## საბჭოს მატიანე

ორშაბათი, 20 სექტემბერი

კრებას დაესწრო 70 ხმოსნამდე. ორი უფრო საყურადღებო საგანი ჰქონდა გადასაწყვეტი საბჭოს. პირველი შეეხებოდა აქციზის ხარჯის მომატებას და მეორე—ქალაქის გამგეობის ამორჩეულ მოხელეთა ჯამაგირების დანიშვნას. წევრმა გამგეობისამ ა. ა. ივანენკომ მოახსენა კრებას შინაარსი გამგეობის სარჩიელისა შესახებ იმისა, თუ რა წესით და რა ზომით უნდა იქმნეს დანიშნული 1894 წლისთვის სააქციზო ხარჯი. სარჩიელიდგან სჩანს, რომ შარშან ქალაქს შემოსავალი ჰქონდა აქციზის ხარჯისა ორი-ათას თუმნამდე, რომელსაც იხდიდნენ ტრახტირები, სასტუმრონი და სხვები. ახალის სამოქალაქო დებულების ძალით, აქციზი უნდა იხადოს ამას იქით დუქანმაც, სადაც კი სასმელებსა ჰყიდიან. ამისთანა დუქნები ტფილისში 313. გამგეობის აზრით, დუქანს თითქმის იგივე შემოსავალი აქვს, რაც ტრახტირს. ამის გამო შესაძლებელია დუქანზედ აქციზის ხარჯი დაწესდეს ათი თუმანი, როგორც ტრახტირზედაო. მაგრამ რაკი საქმე პირველად იწყება, ამიტომ ერთის თუმნით ნაკლები შევაწეროთ დუქანს, ვიდრე ტრახტირსო, ე. ი. დუქანზედ ცხრა თუმანი დავადგინოთ სამერმისოდო. ამასთანავე, რადგან ზოგ დუქანს კარგი ვაჭრობა აქვს და ზოგს მდარე, ამიტომ აქციზიც შემოსავლის კვალობაზედ უნდა განაწილდეს მათ შორისო. ამ ახალის აქციზის წყალობით ქალაქის შემოსავალს ემატება წელიწადში ორი ათას ხუთას თუმნამდე. მცირე კამათობის შემდეგ საბჭომ შეიწყნარა მოხსენება გამგეობის.

რაიცა შეეხება გამგეობის ამორჩეულ მოხელეთა ჯამაგირების საქმეს, ამ საგნის განხილვის დროს, სამოქალაქო დებულების ძალით, უნდა თავმჯდომარეობდეს საბჭოში არა მოურავი ქალაქისა, არამედ განსაკუთრებლივ ამორჩეული თავმჯდომარე. წარსულ კრებაზედ ასეთ საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ხმოსანი მ. ი. თამამშოვი, რმელსაც ქალაქის მოადგილემ პ. ა. იზმაილოვმა დაუთმო ადგილი და თვითონ ხმოსნებთან გადჯდა.

დიდი კამათობა გამოიწვია ჯამაგირების რაოდენობის დანიშვნამ. ხმოსანმა მ. რ. დოლუხანოვმა სთქა, რომ ქალაქის მოურავს დიდი ხარჯი აქვს წარმომადგენლობისა და ამიტომ ექვსასი თუმანი ჯამაგირი ცოტაა მისთვის: უნდა დაენიშნოს არა ნაკლებ რვა ასის თუმნისა წელიწადშიო. ხმ. ოპოჩინინი მიემხრო ამ აზრს და სთქვა, რომ ტფილისისთანა დიდს ქალაქს, რომელიც წლითი წლობით იზრდება და მატულობს, უეჭველად ღირსეული და ნიჭიერი მოურავი უნდა ჰყვანდეს, რომ სათანადოდ უპატრონოსო. ხოლო ღირსეულ კაცს უნდა ღირსეული ჯამაგირიცა ჰქონდესო, და აბა ისეთი ნიჭიერი კაცი ვინ იქმნება, რომ რაღაც ექვსასი თუმანი ვერ იშოვნოს ყველა სხვა ასპარეზზედა. ამის წინაალმდეგ ილაპარაკეს ბევრმა, მაგრამ ყველაზედ მომეტებული ყურადღება დაიმსახურა ხმოსანმა ხუდადოვმა, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა, რომ საზოგადო მოღვაწეობა ფულით არ უნდა იზომებოდესო; საუკეთესო მოღვაწენი იმიტომ-კი არ ემსახურებიან ქვეყანას, დიდი ჯამაგირები ავილოთო, არამედ იმიტომ რომ საქმე უყვართო. ამისთანა მოღვაწეთათვის ექვსასი თუმანიც ძრიელ დიდი ფულიაო. კენჭის უმეტესობით საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის მოურავისთვის ექვსასი თუმანი, წევრთათვის სამას-სამასი, ხოლო სეკრეტარს მოემატა წელიწადში ოცი თუმანი, ე. ი. დაენიშნა ნაცვლად 1800 მანეთისა 2000 მანეთი.

## კორესპონდენცია

**სოფ. ძიმითი** (გურია), 8 სექტემბერს. პირველად ჩვენში 1869 წელს დაარსდა სასოფლო სკოლა, რომელშიაც საკმაოდ მრავლად მიაბარეს ყმაწვილები. თანდათან უფრო-და-უფრო იმატა სკოლაში მოსწავლეთა რიცხვმა, ასე რომ შარშან ენკენისთვეში მიღებულ იქმნა 105 და 100 ყმაწვილს კიდევ უარი უთხრეს, რადგან სკოლაში ადგილი არ იყო. საერო სკოლების ინსპექტორმა აუკრძალა მასწავლებელს ამდენის შეგირდების ყოლა და უბრძანა, რომ 70-ზე მეტს ყმაწვილს ნუ იყოლიებო და დიდათაც გაუკვირდა, როცა გაიგო რიცხვი სწავლის მიღების მსურველთა. იმსპექტორმა დაიბარა მამასახლისი და იმასაც და მასწავლებელსაც ურჩია, ჩააგონეთ სოფელს, რომ ერთი კლასიც მიუმატონ სკოლასაო. მართლა, მასწავლებელიცა და მამასახლისიც ეცადნენ ამ საქმეს, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა: საზოგადოება ორად გაიყო და ერთი ნაწილი რომ თანხმა შეიქმნა, მეორე უარს ამბობდა. მაზრის უფროსიც ჩაერია საქსეში, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. წელს კიდევ დადგა დრო ყმაწვილების სკოლაში მიყვანისა და წელსაც ბევრს ეთქვა უარი სკოლაში მიღებისა. ამ გარემოებით უნდოდათ ესარგებლნათ სკოლის მომატების მსურველთ, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ერთ-კლასიანის სკოლის გადაკეთება ორ-კლასიანად ვერ მოხერხდა.

მალალია

**ყუბა.** ყუბის მაზრაში სცხოვრობენ: თათრები (შია და სუნნი), სომეხი და ურიაː. თათრები მისდევენ ხვნა-თესვას და მოჰყავთ: ხორბალი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი და თამბაქო. სომხები და ურიები მისდევენ ვაჭრობას. ხვნა-თესვას გარდა, აქაური თათრები ხეხილისა და ვენახის გაშენებასაც მისდევენ, ოღონდ იმდენად, რაც თვითონ ჰყოფნით. საუბედუროდ, ვენახის გაშენება აქ ღვთის ანაბარას არის დატოვებული, თუმცა ნიადაგი და ჰაერი ხელს უწყობს ვაზს. მთელს ყუბის მაზრაში წესიერად მისდევენ ვენახის შემუშავებას და ღვინის დაყენებას: ბ-ნი დებურა, თავადი ნაკაშიძე (განჯის გუბერნატორი) და ერთიც სომეხი ბ-ნი სარუმოვი. ამათში ყველაზედ წესიერად ბ-ნ დებურას აქვს შემუშავებული ვენახები და კარგი ღვინოც უდგება. საზოგადოდ ყუბის მაზრაში დიდი მოსავალი იცის, თუმცა ზოგჯერ ზაფხულობით ხანგრძლივი ცხელი ქარი ვნებს აქაურ ჭირნახულს, მაგრამ მაინც იმდენი მოდის მოსავალი, რომ გლეხ კაცს აკმაყოფილებს. მოსავალი კარგი მოსდის გლეხს, მაგრამ სხვაფრივ არის ძრიელ გაჭირვებული. აქაური გლეხი ყოველ წუთს მოელის უბედურებას. ქურდ ბაცაცების გამო მუშა კაცი ადრიანად ვერ გასულა საქმეზედ; თუ გადის, მხარზედ თოფჩამოკიდებულმა უნდა იმუშაოს გულხეთქებით. საქმისაგან დაქანცული მუშა საღამოზედ შინ ბრუნდება, და გარედ უნდა იყოს გათენებამდის და უყარაულოს თავის სახლ-კარს, რომ ქურდებმა არ გაძარცვონ, ან არ მოჰკლან ღამე მძინარე. ქურდები უგზავნიან შუა კაცებს და უთვლიან: ამდენი ფული, ამდენი გამომცხვარი ამდენი ერბო, ქათამი გამოგზავნეო. თანაც სამ დღეს აძლევენ ვადას: თუ ამ სამ დღეში არ აუსრულეს სურვილი, უნდა მოელოდნენ სიკვდილს. რა ჰქნას ოჯახის პატრონმა? გაუგზავნოს, მთავრობა დასჯის, არ გაუგზავნოს კიდევ—მოჰკლავენ. არის ასეთს ცეცხლში და, რასაკვირველია, ასრულებს ავაზაკთა ბრძანებას. „სული ტკბილია“-ო, ნათქვამია. სიკვდილს ის ისევ ურჩევნიათ, მთავრობამ დასაჯოს.

ამ ორის წლის წინად ფულის გულისათვის ქურდებმა გაძარცვეს ფოსტა, მოჰკლეს ბოქაული—მდიდარი ეფენდი და ერთიც სომხის მღვდელი. ყველა ეს ავაზაკობა დაჰბრალდა ორ სოფელს—ხუჯს და გოდოგლოს. ხუჯში 160 კომლია, გოდოგლოში 60 კომლი. მთავრობის განკარგულებით ეს ორი სოფელი ყუბის მაზრიდგან გარდასახლებულ იქმნა მუღალოს მხარეს, სადაც დიდ ტანჯვასა და გაჭირვებაში ჩავარდებიან. თქვენი მტერი იყოს იმ ყოფაში, რა ყოფაშიაც ეს ორი სოფელია ეხლა: დიდი და პატარა, კაცი თუ ქალი დაწიოკებულნი არიან,—სიკვდილს რჩეობენ და მამა-პაპეულ მიწა-წყალის დათმობა-კი არ უნდათ, მაგრამ „ძალა აღმართსა ჰხნავსო“, ნათქვამია. ბევრიც რომ არ ეთმობოდეთ, ძალით გაისტუმრებენ აქედგან. როგორც ამბობენ, ამათ ადგილას უნდა დასახლდნენო: რუსები, მალაკნები და სხვა სჯულის ხალხი, გარდა თათრებისაო.

ეხლა ამ სოფელში დიდი ვაჭრობაა გამართული: ყოველივე ისყიდება მესამედ ფასად, მაგალითად, კარგი ხორბალი, ფუთი 50—60 კაპ., ქერი—30—40, ბრინჯი, 40—50, ფეტვი, 20 კ. სპილენძი გირვანქა 20 კ. საჟენი შეშა, 1—2 მან. საქონელი, ცხენი, ცხვარი—სულ ნახევარ ფასად.

არჩილ დარეჯანაშვილი

## ქრიან ქარნი

(შევჩენკოსი, მალოროსიულიდან)

ქრიან ქარნი
შესაზარნი,—
ხენი მწვერვალთ ხრიან.
სევდით კრული
მტკივა გული,
თვალნი ცრემლებს ღვრიან.

—

არე. პირველ სიტყვების მოსმენისათანავე ქვითინით მომვარდა.

— არას დროს,—დაიწივლა,—არას დროს! გესმით სენეშალ? მაგას ვერ გავბედავ, ვერა!.. როგორ, თავის პირობა მოვაგონო? ამით ხომ სიკვდილის მოახლოვებას ვაგრძნობინებ!.. იმას-კი, ჩემო კარგო, ჯერ იმედი არ გადაუწყვეტია, ამბობს გაზაფხულზე ისევ ფეხზე წამოვდგებიო... რა ვიცი, რა პლანებს არ აწყობს... ექიმმაც მითხრა, სიკვდილამდე სულ ასეთს მდგომარეობაში იქმნება და მშვიდობიანადაც მოჰკვდებაო... ახლა მე კიდევ ჯვარის წერა რო გავუხსენო, ხომ სიცოცხლე მოვუსწრაფე, ხომ მოვკალი!.. რაღა ეგ უნდა!.. არას დროს, გეუბნებით! არას დროს!.. ისიც ვიცი, რომ მის სიკვდილს შემდეგ მისი მემკვიდრეები სახლითგან გამაგდებენ და ოხერ-ტიალი უნდა დავრჩე... მაგრამ ამაზე ხმას როგორ ამოვიღებ. ამის დაკარგვის შემდეგ მასთან ერთად ყველაფერსა ვკარგავ. ან რა ოხრად მინდა რომ მქონდეს რამე!.. სისულელეს ვამბობ. ის-კი ჰკუიანად მოიქცა, როცა ღატაკი სტუდენტი იყო? სულს იქით არა ებადა-რა, და მე თავისთან წამიყვანა; სწორედ მაშინ წამიყვანა, როცა სიკვდილის პირას ვიყავ მე—ვილაც მაწანწალა, მე რომელსაც, იმის ალაგას სხვა ხელს არც-კი გამომიწვდიდა? ის-კი სიჭკვიანე იყო მისის აზრით? თავს რომ დამტრიალებდა და სანამ ფეხზე არ წამომაყენა, მისმა თვალებმა, ძილი რა იყო, არ იცოდა. ამას, თუ არ ჩემი ოკტავი, ჩემი ძვირფასი ოკტავი, სხვა ვინ მიზამდა?.. ტყუილს ვამბობ? ახლა შემიძლია, ჩემო კარგო სენეშალ, კვეხნით არა ვსთქვა—მეც, სამაგიეროდ, რაც შემეძლო, თავს ვევლებოდი, იოტის ოდენა დარდი რა არის, ჩემს ხელში არ გამოუცდია... და რახან მისი დღენი დათვლილია, ღმერთს ამის მეტს არასა ვსთხოვ, რომ ის თავის ძველ ამხანაგის ხელში მოკვდეს, მისი არაფერი იჭვი არა ჰქონდეს, და ჩემს ტუჩებზე ღიმილი დაინახოს!..

**

ასე მოკვდა, ჩემო კეთილო,—დაუმატა მოხუცმა მოქანდაკემ და მღელვარებისაგან აკანკალებული ხელი მხარზე დამადო.—ქალიც სულ მომაკვდავთან იყო, განუშორებლივ! მომაკვდავის ლოგინითგან ფეხი არ მოუცლია და თვალის ნიშნებით მეხვეწებოდა—არა წამომცდენოდა-რა; ყოველსავე მწუხარებას გულში იმარხავდა, ოღონდ-კი უკანასკნელი წამი როგორმე შეემსუბუქებინა, ადვილად ასატანი გაეხადნა თავის საყვარლისათვის, რომელმაც თავისი სიცოცხლე მის ღალატში გაატარა და სხვებთან კავშირის დაჭერით სიცოცხლე მოისწრაფა. სიკვდილის მეორე დღესვე სოფლითგან მისი გულქვა ნათესავები და უსინიდისო მემკვიდრეები ჩამოიჭრნენ... ოჰ!.. მდიდრებო, მდიდრებო!.. ერთი „მომავლისაც“ შეხედეთ... მაგრამ თავს არ მოგკვეთავთ, არა; ასეთი სიკვდილი მეტის-მეტი კეთილშობილური სიკვდილი იქმნებოდა თქვენთვის. მოვიგონებთ, დიაღ, მე მოვიგონებ, მე, ისეთს მანქანას, რომ პანჩურივით უკანითგან სცემდეს ულირს ხალხს და ისე ჰხოცავდეს!.. ჰო, იმას ვამბობდი, ამ ბურჟუებმა, ფერმეცის მემკვიდრეებმა, საშინელი გულქვაობა გამოიჩინეს. რაც წასაღები იყო, ყველაფერი წაიღეს, კლემანსი-კი ნაგავთან ერთად ცარიელის ოთახიდგან გარედ გაჰგავეს!.. რა თქმა უნდა, მადლიანი ადამიანები აღმოჩნდნენ და საცოდავს არსებას მაშინადვე აღმოუჩინეს დახმარება. ბორდიემ, დრამების მწერალმა, ეს მეკარის ადგილი უშოვა. აქ რა უნდა იშოვოს იმდენი, რომ საცხოვრებლად ეყოს, მაგრამ სულ არარაობას მაინც ესა სჯობია: სხვა არა იყოს-რა, ქვეყანაზე, ჩვენდა საბედნიეროდ, მარტო გულქვავი ადამიანები არ არიან და კლემენსიც ასე თუ ისე სცხოვრობს.

— ყურს გიგდებთ,—ვუთხარი მე მოქანდაკეს და ხელი ხელზე მოვუჭირე.

—ისიც ხომ ცხადია,—განაგრძო მან და შუბლზე ხელი შემოიკრა,—რომ უკეთუ ამ კეთილის ქალის გული ამ გვარის აღმაღლებულის გრძნობით არ ყოფილიყო აღვსილი, ახლა ფერმეცის სახელი ერქმოდა და აი, აქ, წინარიგის სელზე იქმნებოდა გამოჭიმული და ყველა კუთხიდგან მასთან გამოაშურებდნენ, სალამი მიეცეთო.

ამის მაგიერ რასა ვხედავთ? ტალანშია სკამზე წამოსკუპული და ხარიხარზე პალტოებსა და ჯოხებს ასწორებს! ღმერთო! ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც იმისთანა ბედნიერებას ამაღამ აქ არავინა ჰგრძნობს: ესმის რომ იმის ოკტავის სახელს „ვაშა-“ს დასძახიან; ესმის მისი დაწერილი ლამაზი ლექსები; შინაარსი არ გაეგება, მაგრამ გაუგებრადაც მათის სმენით აღტაცებაში მოდის... მგონი ამაზე დიდი საქმე ქვეყანაზე არაფერია, ყმაწვილო კაცო; ამას სარწმუნოება ჰქვიან... მინდა დღეს სრულად მოვიგონო წასული ბედნიერი დღეები... კვირაობით კლემანსი ყოველთვის ჩემთანა სადილობს და მე ხუთს საათზე ვაშლევინებ სუფრას‘ რომ თეატრში წასვლა არ დაუგვიანდეს... ამაღამ უნდა წავიყვანო და ერთად ვივახშმოთ, ისე, როგორც ოკტავმა იცოდა ხოლმე, და დილის ორ საათამდე სულ „იმაზე“ უნდა ვილაპარაკოთ... ახლა-კი გავჩუმდეთ, მეორე მოქმედება დაიწყეს.

**

კიდეც ამიტომ იყო, რომ იმავ ღამეს შუაღამის პირველის ნახევარზე „ვოლტერის“ ყავახანაში რომ შევედი, სადაც მშვენიერ ხელოვნების სკოლის მოწაფეებს თავი მოეყარათ, მათმა განცვიფრებამ ბევრი მაცინა. ჩვენი გამოჩენილი პროფესორი, ბ-ნი სენეშალი, ინსტიტუტის წევრი, ლეჟიონ დ’ ონორის აფიცერი. გამოვიდა, თეატრის კერძო კაბინეტების კიბეს აჰყვა და ხელი ხელს გაუკეთა პატარა ტანის მახუცებულ ქალსა, მამლის ბიბილოს მსგავს შაპოთი მორთულსაო. ეს მოხუცი „ოდეონ“-ის ორკესტრის სკამებთან შესავალში სდგას, ტანისამოსს იბარებს, და ყველანი „დედა კლემანს“-ს ვეძახითო.

თ. სა—კია

წლებს ვატარებ—
სულს ვიწვალებ:—
არ სჩანს დასასრული.
მხოლოდ ცრემლსა
როს ვღვრი ცხელსა
მომილხება გული.

—

ფრქვევა ცრემლის
ვერ გვიშველის,—
ოდნავ გულს ვიფონებთ...
წამის შვებას,
სიტკბოებას
მარად მოვიგონებთ.

—

ჩემებრ ბევრ სხვას
ბედი რისხავს,—
ენატრებათ შვება:—
არ არს ლალი
არც ბალახი,
მიდვრათ რომ იზრდება.

—

მიდვრათ არი,
არ აქვს ცვარი,
აშრობს მზე სილაში:—
უსატრფოოთ
ტანჯვა ვპოოთ
უცხო ქვეყანაში.

—

უმეგობროთ—
საპატიმროთ
საწუთრო გვექნება.
სატრფო არ გვყავს—
შვება არ გვაქვს
და არც მოსვენება.

—

სახემტკბარო
მეგობარო!
სად ხარ, ხმა გამეცი!..
უშენობით
ვდნები გრძნობით:
მო, ნუგეში მეცი!

—

ვის შევცქირო,
თვალთ ვუმზირო,
ვინ მომეფერება,
როს დამტკბობი
ვარდ-კოკობი
ჩემს თვალს ეშორება?..

—

მქონდეს ფრთები—
მოვფრინდები,
სულ შენთან ვიქნები...
უშენობით
ვდნები გრძნობით,
შენზე ფიქრში ვჭკნები.

სილოვან

ქუთაისი 1892 წ.

## რუსეთი

გაზ. Русск. Жиз.-ის ფელეტონისტი სვათა შორის სწერს: იმ თავითვე რუსის ქალს ძალათი სწერდნენ ჯვარსა და ეკკლესიაში მიათრევდნენ. იჯდა ქალი ოთხ კედელ-შუა, მოაჯირიან ფანჯარასთან უსაქმოდ, ვიდრე გადასწყვეტავდნენ ასაკ-მოსულიაო და გაათხოვებდნენ. მაგრამ კანონიერი სარეცელი ძლიერ მალე ჰბეზრდებოდა და სცდილობდა, როგორ ეუღალატო ქმარსა და მოვალეობასო. მაგრამ თავისთავად მაინც ვერა ჰბედავდა ამას და ელოდა, როდის მოეშველება ვინმე კირიბეევიჩი და მოაშორებს კანონიერს ქმარსა. საშველი არსაიდგან უჩნდა. ეძახდა საშველად პოლიციელებს, მაგრამ პოლიცია მაშინ ჯერ არ არსებობდა. პოლიციელები მხოლოდ შემდეგ გაჩნდნენ. მთელს საუკუნეს გაიძახოდა რუსის ქალი: „მიშველეთ, გამასამართლეთო,“—და ძლივს ეღირსა გულის წადილის ასრულება. თუ ახალი სატრფო, ვინმე კირიბეევიჩი, არ მოეწონა, ეხლა საკმარისია, ერთი-კი დაიძახოს—და პოლიციელიც მზად არის.

—

გაზეთს Нов. Вр.-ს სწერს ტფილისელი კორესპონდენტი: ახლად არჩეულს საბჭოს ქალაქ ტფილისისას შეიძლება „სომეხთა საბჭო“ დავარქვათ, რადგანაც ხმოსანთა-შორის რუსი ძლიერ ცოტაა; გარდა ამისა, ხმოსანთა-შორის მრავალია ისეთი, რომელთაც რუსული სრულიად არ იციან და ამიტომ საბჭოს საქმეებში სრულიად არ ერევიან და, როცა კენჭზედ მივარდება საქმე, ან ღვთის ანაბრობაზედ აგდებენ კენჭსა, ან თავის მეზობლის რჩევითა. ამას კიდევ დაუმატეთ, რომ ტფილისის საბჭოს კრებები ხშირად არ შესდგება ხოლმე საბჭოში ხმოსანთა მოუსვლელობის გამო, და ადვილად დარწმუნდებით, რომ ტფილისი თავს ვერ მოიწონებს, კარგი თვით-მმართველობა გვაქვსო.

## უცხოეთი

გაზ. Hamburger Nachrichten-ი ამბობს, რომ, თუმცა იმპერატორმა ვილჰელმმა დეპეშა მისწერა თავადს ბისმარკს, მაინც ექს-კანცლერი არ იტვირთებს უჩინარი მოვაზირე იყოს მთავრობისა; არ იტვირთებს იმიტომ რომ ბისმარკი დაჩვეული არ არის პასუხი აგოს თავის ნათათბირებისათვის და არ შეეძლოს-კი სხვისი შეცდომანი თავიდამ ააცილოს ქვეყანას.

—

გაზეთები ამბობენ, რომ პაპი ლეონ მე-XIII დიდი დიპლომატია და ფრიად განმახვებულის ჭკუის პატრონიო. როცა ვენგრიის სამღვდელოებამ დაწვრილებით შესჩივლა სამოქალაქო ქორწინების გამო, პაპმა შეუთვალა, იმედია, რომ კათოლიკეთა სარწმუნოებაში აღზრდილი ახალთაობა თვითონვე მოერიდება სამოქალაქო ქორწინებასო. თუმცა პაპის ენციკლიკა სავსეა პრტყელ-პრტყელის სიტყვებითა და ფრასებით, მაინც ცხადად ჰმოწმობს, რომ რომის კურიას არ ძალ-უძს შეაფერხოს ლიბერალური მოძრაობა ვენგრიაში.

პაპს უნდოდა იმპერატორისათვის მიემართნა და შემწეობა ეთხოვნა. მაგრამ იმპერატორმა, თუმცა დიდი მომხრეა კათოლიკეთა ეკკლესიისა, აირიდა ეს უსიამოვნო საქმე. იმპერატორმა ამჯობინა, რომ სარწმუნოებრივს დავაში სრულიად არ გარეულიყო.

ვენგრიის პრიმასს უთქვამს, რომ პაპის ენციკლიკა ვენგრიის სამღვდელოების საჩივრის პასუხად არ ჩაითვლება, მაგრამ მაინც სამღვდელოება მხნედ შეებრძოლება იმ ახალ კანონ-პროექტებს, რომელიც შეიმუშავა ვეკერლეს სამინისტრომაო.

—

გაზ. Indépendance Belge-ს სწერს დეპეშით ბერლინელი კორესპოდენტი, რომ ამ დღეებში გაზ. Reichsanzeiger-ი დაჰბეჭდავს იმ დეპეშებს, რომელიც მისწერეს ერთმანეთს იმპერატორმა ვილჰელმმა და თავადმა ბისმარკმაო.

—

გაზ. Temps-სა სწერენ ლონდონიდამ, რომ ემილ-ზოლას ნალაპარაკევი ჟურნალისტების კონგრესზე მოეწონათ დამსწრეთო.

გაზ. Figaro-ს უფროსმა რედაქტორმა, ბ-ნმა მანიარმა სთქვა რამდენიმე სიტყვა. ჩემის აზრით, წერილებ ქვეშ ხელის მოწერა ავტორის მიერ უხერხული საქმეა პოლიტიკურის მხრითო. „მაგ ამბავმა გააჩინა პატივ-მოყვარეობა და ისეთი კაცები გამოიყვანა სარბიელზედ, რომელნიც სრულიად საინტერესონი არ იყვნენ. ამიტომ უფრო სახეიროა, რომ მწერლობაში წერილები ხელმოუწერელი იბეჭდებოდეს“. ლიტერატურულის მხრით-კი მეც იმ აზრისა ვარ, რაც ემილ-ზოლამა სთქვა, იმიტომ რომ ყოველივე, რაც შემოქმედობას შეეხება, ღირსია რომ ხელმოწერილ იქმნას.

—

ფრანგ-რუსთა დღესასწაულის მოწყობის გამგედ არიან: თავსმჯდომარე სახელმწიფო საბჭოსი, გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრები.

მინისტერთა კომისიამ განიხილა საქმე ბაირაღების შესახებ. შენობანი შემკულ იქმნებიან ტროფეებით—რუს-ფრანგთა საერო ბაირაღებით, ხოლო შუაში იქნება რუსეთის იმპერატორის ბაირაღი.

სამხედრო და ფინანსთა სამინისტრონიც მიუმატებენ ამ ტროფეებს თავიანთ ბაირაღებსაც: პირველზე ლურჯი ჯვარია წმ. ანდრიასი, თეთრის კანტებით, და თეთრი ჯვარი წითელს ადგილზე, ხოლო მეორეზე ლურჯი ჯვარი თეთრ ადგილზედ.

საფრანგეთი არავის არ ერიდება და გულ-ახდით უცხადებს თავის მადლობას რუსეთსა, იმიტომ რომ მისი სიმპატია რუსეთისადმი ამ უკანასკნელისათვისაც იმდენადვე სასარგებლოა. დიდი სახელმწიფო ჩრდილოეთისა ჰგრძნობს, რა მნიშვნელობაც აქვს ისეთის კულტურით-მოსილ, მდიდარ და ძლიერ სახელმწიფოს ერთგულებას, როგორიც არის საფრანგეთი, რომელსაც შეუძლიან თავისი მილიონობით აღსათვლელი ჯარი, რამდენსამე საათის განმავლობაში საომარ ფეხზედ დააყენოს.

რუსეთის არა ერთხელ მიუმართავს საფრანგეთის კრედიტისათვის. 1888 წელს რუსეთმა რვაჯერ ისესხა ფული, სულ 3 მილიარდი და 963,786 ფრანკი. უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთს იშვიათად უნახავს სარგებლობა გარეშე ფულის გასესხებით: „უცხოთა სესხნიო, სთქვა ერთმა ეკონომისტმა,—ანდერძის აგებაა, წამებაა საფრანგეთის დანაზოგისა და ნაჭირნახულევისაო. მაინცა და მაინც საფრანგეთი დიდად ენდობა რუსეთს და სწამს, რომ ეს ქვეყანა სიცოცხლით არის სავსე და თან ძლიერიცაა.

—

**გერმანია.** ხმა გავრცელდა, რომ ამ მოკლე ხანში გრაფი კაპრივი და გრაფი კალნოკი ერთმანერთს შეხვდებიან მოსალაპარაკებლად კარლსბადში, სადაც ამ ჟამად სცხოვრობს გერმანიის კანცლერი. ბერლინისა და ვენის ჟურნალ-გაზეთები ამბობენ, რომ ამ მოლაპარაკებას გერმანიისა და ავსტრიის პოლიტიკის ორის მეთაურისას ფრიად დიდი მნიშვნელობა ექმნებაო.

## ემილ ზოლა ლონდონში

—

ჟურნალისტთა კონგრესზედ ლონდონში ემილ-ზოლამ წარმოსთქვა სიტყვა ხელმოუწერელ (ანონიმი) მწერლობის შესახებ.

ინგლისის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი წერილი, სულ ხელმოუწერელია ავტორთა-მიერ ისე, რომ კაცი ვერ გაიგებს, ვისი დაწერილია. საფრანგეთში-კი ყველა წერილს, უბრალო ცნობასაც-კი ხელს აწერს ავტორი.

ზოლას აზრით, ამაში იხატება ორთავე ერის ხასიათი, ზნე და ისტორია.

მკითხველებმა მისცეს მწერლობას დღევანდელი სახე,—მკითხველებმა, რომელნიც არ არიან ერთმანერთს დაშორებულნი რევოლიუციებით და რომელნიც დღესაც მხოლოდ ორ დიდ დასად იყოფებიან. ყველა მათგანი, დილით რომ წამოდგება, თორმეტ გაზეთს-კი არ შემოიწყობს გარეშემო და არ მოუყვება ჩხრეკას, არამედ კითხულობს მხოლოდ ერთს გაზეთს, კითხულობს თავიდგან ბოლომდე და ერთს რასმე ავალებს,—რომ სწორედ ისე ჰფიქრობდეს და სჯიდეს, როგორც თვით მკითხველი.

ამისთანა გარემოებაში მწერლობა უსახელო უნდა იყოს, ხელ-მოუწერელი. აქ იმას-კი არა კითხულობენ, რომელი წერილი რომელ თანამშრომლის დაწერილია, არამედ გაზეთის მიმართულებას ადევნებენ თვალ-ყურს. თანამშრომელთა არა თანაბარი ღირსება და მათი პიროვნული ხასიათი დაარღვევდა კიდეც გაზეთის ერთობას. რადგან თანამშრომლებს არ იცნობენ, ყველა მათგანი თანაბარის ნიჭისა და უფლების პატრონად მიაჩნიათ. რჩება მხოლოდ საზოგადო საქმე, აუარებელი სიმრავლე აზრთა და სხვა-და-სხვა ცნობათა ერთგვარობა, რის გამოც თქვენი გაზეთები თითქმის ენციკლოპედიაა. ერთობა ჰქმნის ძლიერებას.

ჩვენი საქმე სულ სხვა არისო, სთქვა ზოლამ საფრანგეთის შესახებ:

ჩვენ დაუწყნარებელი, დაუდგრომელი ერი ვართ და ერთ საუკუნის განმავლობაში ჩვენის მონარქიის ნიადაგი ყოველ ჟამს იჩიჩქნება და იხვნის რევოლიუციებით. უსახელო წერილები განიდევნა პოლიტიკურ ლიტერატურიდგან, იმიტომ რომ ჩვენს ხალხს აღარ უნდა და იმიტომ კიდევ, რომ ახალმა მოთხოვნილებამ იჩინა თავი. ამდენ ძრწოლა-რყევის შემდეგ დასები დაწვრილმანდნენ, აღარ არის არც ერთი თვალ-საჩინო, შუქით მოცული, დასი. და აი ამით აიხსნება, ჩვენს გაზეთებს რატომ არა აქვთ ისე დიდი გასავალი, როგორც თქვენებს, და ხშირად რად იბადება ახალი გაზეთი და დაბადების უმალვე რადა კვდება. ჩვენ მუდამ ჟამს ვეძებთ ახალ იდეალებს თავისუფლებისა და სიმართლისას, მივისწრაფით მისკენ და გზაში ვკარგავთ სიმტკიცეს, რომელიც თქვენ შეთვისებული გაქვთ. ამის გამო ჩვენ აღარ შეგვიძლიან შევქმნათ რაიმე მკვიდრი და დიდებული. ამის ნაცვლად ჩვენში გაჩნდა და გაძლიერდა წყურვილი კერძოობისა და პირადობისა. ამით სწყდება დღეს ყოველი საქმე. ნაპოლეონის გავლენა ხომ არ არის ეს? მისი სახელი ხომ ძვალრბილში გვაქვს გამჯდარი! ჩვენ კიდევ მოველით მესსიას; ჩვენ გვერწამდა გამბეტა და კინაღამ ბულანჟეს არ დავადგით გვირგვინი. ამით მინდა დავამტკიცო, რომ კერძოობამ ჩვენში ძალიან ფეხი მოიმაგრა და ყოველ ახლად გამოჩენილ ღმერთს აღტაცებით მივდევთ. მართალია, ჩვენ გვაქვს კიდევ გაზეთები, რომლებიც მრავალთა აზრის წარმომადგენელნი არიან, მაგრამ საყურადღებოა, რომ დღითი-დღე ახალ-ახალი გაზეთები არსდებიან, კერძო კაცთა სულის განმახორციელებელნი—გაზეთი როშფორისა, გაზეთი კლემანსოსი, გაზეთი პოლ-დე-კასსანიაკისა. იქ სრულიად ქარწყლდებიან დანარჩენი მოღვაწენი რედაქციისა, რჩება ერთი კაცი და ამ ერთისთვისა ჰყიდულობენ გაზეთს.

ზოლას აზრით, სადაც პირველი ადგილი კერძოობას უჭირავს, იქ წერილებსაც ხელს აწერენ. სადაც ხალხი ერთის აზრით არის გამსჭვალული და საზოგადოებრივი ცხოვრება აქვს,—იქ მწერლობაში წერილებიც ხელ-მოუწერელია.

„არ შევეკამათებითო—ამბობს გაზეთი Рус. Жизнь,—ხოლო ვიტყვით, რომ რუსეთში უსახელო მწერლობის შემოღებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, თუნდა იმიტომ, რომ საცენზურო კანონი თხოულობს, გამოცხადებულ იქმნას სახელი ავტორისა, რედაქტორისა, გამომცემლისა და სხვ.“

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ლონდონის გაზეთები ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ ემილ-ზოლას სიტყვაზედ, რომელიც მან წარმოსთქვა ჟურნალ-გაზეთების შესახებ. Times-ი ზრდილობიანად სწერს: ზოლას, როგორც ეტყობა, სრულიად არა სცოდნია ინგლისურ გაზეთების ვითარება და ძლიერა სცდება, როცა ამბობს, რომ ინგლისური გაზეთი წარმომადგენელია თითოეულ დასის აზრისა და მიმართულებისაო. Daily News-ი ამბობს, რომ საფრანგეთის გაზეთებში წერილების ავტორების სახელების გამოცხადება შემოიღო მეორე იმპერიამ, რათა ჟანდარმებს ადვილად ედევნათ თვალ-ყური საშიშ მწერლებისათვისა. იგივე გაზეთი ამტკიცებს, რომ ჟურნალსა ან გაზეთში კრიტიკული წერილები ავტორის მიერ ხელმოუწერელი უნდა იბეჭდებოდესო. გაზეთი Daily Chronicle ამბობს ზოლას შესახებ, ორატორის ნიჭი არა აქვს და ეტყობა, ჩვეულიც არ არის ხალხში ლაპარაკსა და ისე ჩქარა კითხულობს, რომ მარტო ფრანგებს თუ შეუძლიანთ მის კითხვას გულის-ყური ადევნონ.

—

ჟურნალისტთა კრებაზედ ლონდონში, ემილ ზოლას გარდა, ილაპარაკა კიდევ ჩარლზ როსსელმა და წარმოსთქვა სიტყვა ჟურნალ-გაზეთების მომავალ ბედ-იღბალზედ. ორატორმა სხვათა შორის სთქვა: უპირველეს ყოვლისა თითოეული გაზეთი უნდა გადიდდეს, რადგანაც გაზეთს დღითი-დღე ემატება განცხადება და ახალ მანქანების წყალობით გაზეთის ბეჭდვა თანდათან ადვილდება. ამავე მიზეზის წყალობით გაზეთის ფასი დაიწევს, ხოლო მკითხველთა რიცხვს მოემატება. შორს არ არის ის დრო, როცა გაზეთი ისეთივე საჭირო და აუცილებელი იქმნება ყოველ ოჯახისთვის, როგორც მაგალითად რძე.

—

გაზეთ Русск. Вѣд.-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობანი შესახებ იაპონიის იმპერატორის ოჯახისა. იაპონიის იმპერატორი თურმე ძლიერ იშვიათად ეჩვენება ხალხსა და თავის სასახლეს არა შორდება. მიკადოს (იმპერატორს) აქვს საკუთარი სასახლე კიოტოსა, ხანოკესა, ნიკკოსა და სხვ. იმპერატრიცაც იშვიათად შორდება სასახლეს, ხოლო საქველმოქმედო საქმეებში ძლიერ დიდს მონაწილეობას იღებს: ჰმართავს სამკურნალოებს, ქსენონებს და სხვ. იაპონელების აზრით, მათი დედოფალი ძლიერ ლამაზია, პირ-გმელი სახე, შავი თმა და შავი თვალები აქვს. წინად დედოფალი, როგორც იაპონიის ყველა გათხოვილი ქალები, კბილებს იშავებდა და წარბებს იპარსავდა, მაგრამ დიდიხანია, რაც ეს ჩვეულება მოისპო.

მემკვიდრე იმპერატორისა, პრინცი ხონი, დაბადებულია სასახლის ერთის მოახლისაგან (იმპერატრიცას შვილები არა ჰყავს). თვით იმპერატორიც სასახლის

ერთის ქალისაგან არის დაბადებული და არა დედოფლისაგან. იაპონიის კანონმდებლობაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ხელმწიფეს ჰმემკვიდრეობს უფროსი ვაჟიშვილი იმპერატორისა, მიუხედავად იმისა, რომელ ქალისაგანაც უნდა იყოს დაბადებული.

—

ბრიტანიის ასოციაციამ პრეზიდენტად აირჩია მარკიზი სოლსბერი. სოლსბერი ცნობილია, როგორც კარგი მცოდნე ბუნების მეტყველებისა, როგორც გლადსტონი კარგი მცოდნე არქეოლოგიისა.

—

ნიუ-იორკიდგან იწერებიან, რომ ერთი ცეცხლის გემი Luciana ლივერპულიდგან ნიუ-იორკში მისულა 5 დღესა, 15 საათს და 37 წამში.

## გამოსადეგი ცნობანი

—

კარაქის შენახვა. კარაქს კარგად უნდა გადაყვლოს წყალი და გარშემო წყალი სუფთა ტილოთი შეუმშრალდეს. შემდეგ ქვის ჭურჭელში უნდა ჩაიდოს ისე მჭიდროდ, რომ ცალიერი ადგილი არ დარჩეს ქილაში, თავი დაესუროს წყალით ნახევრად მოურილ ქვაბში ჩაიდგას და ცეცხლზე წამოდუღდეს. მერე უნდა გადმოსდგან ქვაბი და, როცა წყალი განელდება და გაცივდება, ქილა ქვაბიდგან ამოიღონ. სხვა აღარა უნდა-რა. ამ რიგად კარაქი დიდხანს შეინახება და სიმწარე სრულიად არ შეეპარება. ექვსი თვეც რომ გავიდეს, ახლად შედღვებილ-ამოღებულში ვერ გამოარჩევთ, უფრო კარგი გემოცა აქვს თურმე.

## სამეცნიერო ნაწილი

—

პეტერბურგის უმთავრესი ობსერვატორია შეუდგა ცნობების შეკრებას შესახებ ჰავისა რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში. იგივე ობსერვატორია შეუდგა ცნობების შეკრებას, რომელი ადგილები ისეტყვება რუსეთში და სად უფრო იცის ნისლი. რა თქმა უნდა, ამ საქმეს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობისთვის.

—

ვენის უნივერსიტეტის ინსტიტუტში ამ ჟამად შემდეგი გამოცდა მოხდა, რომელმაც მიიქცია ყურადღება მკურნალებისა. მიუნხენის ცნობილი ჰიგიენისტი პეტტენკოფერი ამტკიცებდა, კოხის აზრი საეჭვოა და ხოლერის ბაცილისაგინ ადამიანი ხოლერით არ გახდება ავადაო. ამ აზრის დასამტკიცებლად პეტენკოფერმა და ორმა მისმა ასისტენტმა გასულ ზაფხულს ხოლერის ბაცილები ჩაყლაპეს და სამთავენი უვნებლად გადარჩნენ. მაგრამ კოხმა ამაზედ სთქვა: ეგ ამბავი არაფერს ამტკიცებს, რადგანაც შესაძლებელია ზოგიერთ ადამიანის საღმა კუჭმა ხოლერის ბაცილა ადვილად მოინელოსო. კოხის ერთმა მოწაფემ, პროფესორმა ლეფლერმა, სთქვა მაშინ: სამი კაცი შემთხვევით გადარჩა ხოლერასა, მაგრამ ბევრს მსწავლულს რომ ჩაეყლაპა, ვინმე მათგანი ხოლერით გარდაიცვლებოდა კიდეცაო.“ ეხლა ეს სურვილი ლეფლერისა ასრულდა მიუნხენში. პროფესორების დრაშესა და შტრიკერის ზედამხედველობით ექვსმა გამბედავმა ახალგაზრდა კაცმა მრავალი ბაცილა ჩაყლაპა. ორ მათგანს არაფერი ავადმყოფობა არ უგრძვნია, მესამეს ორ დღეს თავი სტკიოდა და, ორს ცოტათი სტომაქი მოეძალა და მხოლოდ მეექვსე, რომელიც სუსტის აგებულობის კაცი იყო, ავად გახდა პირსაქმობით, მაგრამ ისიც ერთ კვირაზედ სრულიად განიკურნა. ამ გვარად 9 კაცისგან, რომელთაც ხოლერის ბაცილები ჩაყლაპეს, არც ერთი არ გახდა ავად აზიურ ხოლერითა.

პეტერბურგის ბირჟა, 15 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — ,, | — ,, | 7,68 |
| ტამოჟნის კუპონები | — ,, | — ,, | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 218 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | 100½ | — ,, |
| 5% | — ,, | 100 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% | — ,, | 100 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98½ |

## გამოსადეგი ცნობანი

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ.

ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ეე ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღვრო-


# განცხადებანი

თესლი აბრეშუმის ჭიისა

**ძმათა პასხალიდებისა**

ბრუსსაში (ოსმალეთი)

ნოემბრის დამლევს მივიღებთ გასასყიდად ცელულიარნი გრენა ძმ. პასხალიდებისას.

მიმართეთ ტფილისში **როდოკონაკის** საგენტოს, სასახლის ქუჩა, ქარვასლა ტფ. სათ.-აზნ. ბანკისა № 128, აგრეთვე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას.

(4—966—3)

გამოვიდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

**არაკები**

მოწაფეთათვის სახმარებლად

**სულხან-საბა ორბელიანისა**

გამოკრებილი „სიბრძნე-სიცრუიდამ“.

ფასი 25 კაპ.

(3—რ—3)

## კბილის ექიმი

# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—101)

ბალახეულის კარამელი

ხველების წამალი

„**კეჩეჩი ბოსს**“

ბ. სემადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

М. (20—2)

„**სიჭაბუკის ცოდვა**“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენციისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

# გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

**ი. ტ. პროტასევიჩი**, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**გ. ი. ფრანციუსი**, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**ა. რალლე და კომპ.**

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

**აპონური საპონი**

**„მ უ ს ე“**

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ბეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—48) ალ. თუთაევი




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე